# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 520

დამატების № 93

კვირა, 6 მარტი 1916 წ.

## გაზეთ „დროების“ 50 წლის თავი

„დროების“ რედაქტორები



გიორგი წერეთელი.



კირილე ლორთქიფანიძე.



სერგეი მესხი.



ილია ჭავჭავაძე.



ივანე მაჩაბელი.

## იცი, დედი...

იცი, დედი, ლექსს დაგიწერ, ლექსს ცქრიალას, ლექსს გოგმანას,
მზეს შენ სხივებს შევაშურებ, ვათქმევინებ ბულბულს ნანას;
ღრუბლის ნაკვთზე ამოგიქსოვ სილამაზის ნაზ ქვეყანას,
ტკბილ თილისმით ამოგიწოვ გულში ჩაკლულ ვნების ყანას:
თუ შენ სევდას მაზიარებ, თუ იშვილებ ჩემისთანას!..

* * *

ღამის ყვავილთ ვაკმევინებ გამაბრუებ ალმაკმევას,
საიდუმლოდ დაგანახვებ უკვდავების თრთოლვას, რხევას;
გაგიმჟღავნებ, კდემა მოსილს, უხილავი ძალთა წყევას,
გრძნეულებით გარდაგიშლი ტანჯულ სულთა ლივლივ-ლევას:
თუ შავ მანდილს მოიშორებ, თუ შესწყვეტავ ცრემლის ფრქვევას!..



გ. წერეთელი და ს. მესხი.



სტეფანე მელიქიშვილი.



გიორგი ქართველიშვილი.

## სიმარტოვეში დაირღვა გული...

სიმარტოვეში დაირღვა გული,
დაბლა დაეშო, აღმართული ცად,
მკერდ ქვეშ ჰმარხია გაციებული
და ზედ ჭაღარა აყრია მიწად.
მაგრამ მე იმას სულ არა ვჩივი,
რომ ვაებაში დავბერდი ყრმადა,
არც იმასა, რომ სიობლე ცივი
მუდამ თანა მდევს მოვალე ძმადა...
ბედთან ბრძოლაში დავხარჯე ძალა,
დავხარჯე ცრემლი, დავხარჯე კვნესაც,
ჩემი ძალ-ღონე გამოიცალა,
ბედი კი, ბედი ხარხარებს დღესაც...

მოსკოვი.

ი. მჭედლიშვილი.

## ქუჩის ქალს

დღეს ქუჩა-ქუჩა დაძრწი, წანწალობ,
დუხჭირ ცხოვრებით დევნილ-ეული,
გშია-ქვითინებ, გცივა-კანკალობ
ტანჯვით ძალ-ღონე გამოლეული.
ტანზე ძველები შემოგძარცვია,
დაგლურჯებია სახე სნეული
და ზედ სიკვდილის სევდა გატყვია
ტანჯვა, ვაებით გამოწვეული.

—

იყო დრო, როცა აყვავებული,
გიცემდა გული სიყვარულითა,
ახალგაზდობა გატაცებული,
გუნდრუკს გიკმევდა სიხარულითა;
მაგრამ ოცნებამ გადაიარა—
შენ დასნეულდი ყოფნის წყლულითა,
გულს დაეუფლა შავი იარა
ჭმუნვით, ვაებით, ალსასრულითა.

—

როცა მშობლების მოგაკლდა ზრუნვა,
უკუღმა იწყო ცხოვრებამ ბრუნვა,—
მონად შეგაბა ტანჯვის უღელში.
შენ ვერსად ჰპოვე, თავ-შესაფარი,
ვერ გაიკაფე გზა ულრან-ტყეში
და გახდი დაო! ღამის ვაჭარი,—
ქუჩის გოგონა, ქუჩისა ლეში!
შენ არ იცოდი, რომ სიყვარული
განცხრომის შვილთა სულ არ ესმოდა,
შენ არ იცოდი ბრბო-მხიარული
ცხოვრების მსხვერპლსა ტალახს გესვროდა;
არც არვინ მიხვდა, რომ შიმშილითა
გული გიწუხდა, კუჭი გეწვოდა,
ძმური ნუგეშით, გრძნობით ტკბილითა,
იმედის სიტყვას არვინ გეტყოდა!..

—

დღეს რა ხარ?—ქუჩის ქალი გარყვნილი
რა გქვია? მჩვარი ნამუს ახდილი!
ვით დიდი ცოდვის დიდ მიზეზისკენ,—
ყველას აქვს შენკენ ხელი გაწვდილი.
როცა ჰყვაოდი, ყველა გეტრფოდა,
ყველას უნდოდი, ვარდი გაშლილი,
საყვედურსაც-კი არვინ გეტყოდა!..
დღეს-კი მჩვარი ხარ, ზიზღის აჩრდილი!

—

ჰე, დაო, დაო! როცა მოკვდები,
ჩაგასვენებენ სადა კუბოში,—
ჩემს გულს, ჩემს გრძნობას, ცრემლად მოსწყდები,
უსიტყვო მონა ბნელ საწუთროში,
რომელსაც გერქვა როსკიპ-ცბიერი
გარყვნილად გცნობდნენ ამ გარყვნილ დროში,
და მოკვდი მარტო, მოკვდი მშიერი
ისე, რომ ერთიც არ დაგრჩა გროში!..

—

დღეს ქუჩა-ქუჩა დაძრწი წანწალობ,
დუხჭირ ცხოვრებით დევნილ-ეული,
გშია-ქვითინებ, გცივა-კანკალობ
ტანჯვით ძალ-ღონე გამოლეული!..

დარია ახვლედიანი.

# „დროების" სათაურები სხვა და სხვა დროს

## დროება  დროება

## დროება დროება

## დროება

## სვავს

სვავო პირ სისხლით შესვრილო,
სიდან მოფრინავ ხვნეშითა,
ალბად იქ იყავ საზღვარზე,
ტყვია რომ მოჰქუხს თქეშითა...
გული ლაღად გაქვს, რა გიჭირს,
ჩაითვრებოდი ლეშითა...

იქნებ ჩვენი მთის არწივებს
უსპობდი წამთა დენასა,
მკერდს უკორტნიდი, სჯიჯგნიდი
პირით აგლეჯდი ენასა;
ვაიმე, ერთი მომესწრო,
ჩაგამწარებდი ლხენასა...

ფრთას-ფრთას ცემ გახარებული
ჩხავილით იწყებ ტრიალსა,
იქ ჩნდები, სადაც გაიგებ
დაჭრილთ კვნესას და ხრიალსა...
ეგ დროც შენია, შენ დაგრჩა,
თვალბედით, ოხერ-ტიალსა...

ცვარ-ნამი.

## საგაზაფხულო

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ გულსა რალად ვიტეხ?
ახლოა არის მომავალი!

აკაკი.

დილით წვიმდა. შემდეგ აქა-იქ ღრუბლების თხელი დოლბანდი ნაჭერ-ნაჭერ დაიხლიჩა და შორეული, სანატრელი ცა გამოჩნდა. ბაღში ჩუმად იდგა ლიბანის ნაძვი; დამძიმებული, ცრემლიანი ტოტები დაბლა დაეშვა, თავისი შნოიანი, წერწეტი ტანით კი მაღლა აზიდულიყო, ცისკენ. ხვამლის მთას ღრუბლები გადაეყარა და მთლად ჩნდა თავისი დანაჯახებული, დასერილი კალთებით. უცნაურად ეხამებოდა შორეული მთების ლურჯ-თეთრი სამოსელი ცის მიმკრთა-

არაჩვეულებრივი ნათელი სიჩუმე. თბილოდა. აივნის მოაჯირ[...] მიყრდნობილი გავყურებდი ჩემს საყვარელ ლიბანის ნაძვს, მეზობლ[...] ეზოში ამართულ დატიტვლებულ ხეებს და შემდეგ მთებს, ჩემი ქვე[...]ნის შორეულ, ამაყ დარაჯებს. დიდი ხანია ასეთი უსაზღვრო სიხ[...]ზით და სიხარულით არ ავსებულა ჩემი გული. მეც ისე ჩუმად [...] გაუნძრევლად ვიდექი, როგორც ლიბანის ნაძვი. გულის თვალები[...] ვუყურებდი ჩემი სულის სიღრმეში დაბადებულ მოულოდნელ ფი[...]რებს და ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ერთბაშად, მთელის არს[...]ბით გავწმენდილიყო ყოველდღიური მწიკვლისა და ტალახისგან...

„დუმილი ოქრო არს რჩეული"—გამახსენდა უცბად. იმას, ვინ[...] ეს სიტყვები სთქვა, უთუოდ კარგად ესმოდა, თუ როგორი ნეტარ[...]ბაა, როდესაც ჩუმად ხარ და ისმენ უცნაურს, აქამდე უცნობ ხმებ[...] რომელიც მოულოდნელად იბადება შენი გულის სიღრმეში. ამ დრო[...] ისეთი ფიქრები გიპყრობს, რომელიც არასოდეს არ მოგსვლია თა[...]ში, თვალწინ ისეთი სურათები გეშლება, რომლის მზგავსი არასოდ[...] გინახავს, ისეთი გრძნობების წინათაგრძნობით ივსები, რომელ[...] არასოდეს არ გამოგიცდია! ხილული ქვეყნის საზღვრები დაუსრუ[...]ლებლად მიიწევს, იზრდება—და ამ დროს შენთვის აღარ არსებო[...] არც ტანჯვა, არც სიკვდილი, უკვდავი და სამარადისო გგონია შე[...] სულიც და შენი ფიქრებიც.

„დუმილი ოქრო არს რჩეული"—კიდევ გავიმეორე უხმოდ [...] ლიბანის ნაძვის ტოტებს თვალებით მივუალერსე. უცბად თითქ[...] დავინახე, როგორ მიიპარებოდა ტოტებსა და ტოტებს შუა დრ[...] წუთები, როგორ იღვიძებდა ბუნება და ყურს უგდებდა გაზაფხულ[...] მოახლოვებულ სიმღერას, ღრმა დუმილით ჰხვდებოდა თავის გულ[...] სიღრმეში დაბადებულ საპასუხო ჰანგებს.

დღეს დილით ადრე ჩიტების ჭიკჭიკმა გამომაღვიძა. დიდხა[...] ვიყავი გაუნძრევლად, თვალდახუჭული და ჩიტების მხიარულ გალ[...]ბას ვისმენდი. მესმოდა მათი მოუსვენარი ფრთხიალი, მათი ფრთ[...]ბის მოძრაობა და ჩემი გულიც იშლებოდა მოულოდნელი, დიდი ს[...]ხარულით.—„გაზაფხული მოდის—ვფიქრობდი მე—სანეტარო გაზა[...]ხული".

* *

გულმა ზევით გამიწია, ქალაქს გარედ, ბაგრატის ციხის ნა[...]გრევებისკენ. იქიდან მოსჩანს იმერეთის თვალუწვდენელი. ფართ[...]ჭალა, მთების რკალით შემოზღუდული. თვალს მუდამ ენატრება [...] განუსაზღვრელი სივრცის ჭვრეტა; მხედველობასთან ერთად თითქო[...] ადამიანის სულიც იშლება, ფართოვდება და მთელ სამყაროს იტე[...] მისი უცნაური გამოცანებით, მისი მდიდარი და ხელთუქმნელი ფე[...]რადებით.

— მარიკა, გორაზე არ წამოხვალ?

— წამოვალ, წამოვალ,—სიხარულით მითხრა ჩემმა დამ [...]

ჩქარი ნაბიჯით ავიარეთ ქალაქის ქუჩები და გრძელი კიბით ნანგრევებისკენ გავსწიეთ. მზის სხივები შადრევანივით ჩამოდიოდა გადაწმენდილ ციდან. ჩემი გულიც ისე იცინოდა, ვით ყველაფერი ჩემს გარშემო.

უცბად თვალი მოვკარი ჩვენსკენ მომავალ კაცს. შორიდანვე ვიცანი. ორი კვირის წინად შევხვდი პირველად რომელიღაც ქუჩაზე. შევატყვე, აქაური არ იყო. მერე ხშირად ვხედავდი ხან თეატრში, ხან ბაღში, ხან ისევ ქუჩებზე. მარტო დადიოდა. ეტყობოდა არავის იცნობდა, ან შეიძლება არც უნდოდა, რომ ვისმე გასცნობოდა. ხანდახან მის უცხო ფერის თვალებში ღრმა სევდა მეჩვენებოდა. მე თვითონ არ ვიცი რატომ, ჩემი გული მისკენ მიიწევდა. ხშირად ვაკვირდებოდი. მინდოდა გამეგო ვინ იყო, რად დადიოდა მარტო, ან რაზე ფიქრობდა მაშინ, როცა მის თვალებს სევდის რიდე ეფარებოდა. ერთხელ ყვავილების მაღაზიაში შევხვდი. იებს არჩევდა. „ჩემსავით მასაც იები ჰყვარებია“—გავიფიქრე და უეცრად, საშინლად მომინდა რამე მეთქვა მისთვის ისე, რომ პირდაპირ არ მიმემართა, მაგრამ გაეგო კი ჩემი სურვილი!

— ელენე,—მივუბრუნდი მე ჩემს ამხანაგს, რომელიც ჩემთან ერთად ყვავილებს არჩევდა—არ გახსოვს ბარათაშვილის ლექსი? ხომ ასე არის?

„ნუ ვინ იტყვის, ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას,
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელლა ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მან ტოლი!“

— ასეა ხომ?

— ჰო, მერე რა იყო? რად გაგახსენდა ახლა ეს ლექსი?

— ისე.—ეშმაკურად გავიღიმე მე და იებს რჩევა დავუწყე.

უცნობმა გაკვირვებით მოიხედა ჩემსკენ, ერთ წუთს თავისი უცხო ფერის თვალები შემომანათა და შემდეგ იების თაიგულით ხელში გარედ გავიდა!

ახლაც ცალ ხელში იები ეჭირა, მკლავზე თავისი წამოსასხამი გადაეგდო და ნელი ნაბიჯით, თავდახრილი მოდიოდა ჩვენსკენ.

უცბად დაგვინახა. მაშინვე ჩასწია თავი, მკლავზე ხელი მოიკიდ და სახელოს სწორება დაუწყო.

ერთბაშად თითქოს რაღაცა განათლდა ჩემს სულში. ვიგრძენ უტყუარი, გრძნეული ალღოთი, რომ ის ჩემმა დანახვამ ააღელვა; მიტომ ჩასწია დაბლა თავი და სახელოს სწორება დაუწყო.

მისი ხელის მოძრაობამ, მისმა უცნაურმა აღელვებამ ერთბაშად მომხიბლა. მისკენ არ გამიხედავს, მაგრამ როცა ახლოს მოვიდა ჩვენთან, ვიგრძენი, როგორ ასწია უცბად თავისი უცხო ფერის თვალები და შემომხედა...

უთუოდ მის თვალებშიც მზის სხივები ესვენა, უთუოდ მის გულშიც გაზაფხულის სიმღერა იბადებოდა და მძლავრად ილვიძებდა სიცოცხლის წყურვილი.

ციხის ნანგრევებთან ჩემ საყვარელ ადგილს მოვედი, იქ, საიდანაც რიონის მიხვეულ-მოხვეული კალაპოტი მოსჩანს და ყურს განუწყვეტლივ მოესმის მდინარის საიდუმლო, სევდით სავსე შხული.

თვალი ყველაფერს იტევს, შორეული მთების ნაოჭებს ეალერსება, მტრედისფერ, უსაზღვრო ცას ეკვრის და მზის სხივებში ჩაფლულ ქალაქს გაჰყურებს.

ორი ათასი წლის წინად რიონი უთუოდ ისე მიბუტბუტებდა და მიჰხშუოდა თავის ნაპირებში, როგორც ახლა. ხვამლის მთა, დაჭრილ ვაჟკაცსავით, მაშინაც ასე იდგა უთუოდ გულ-მკერდ დასერილი, მაგრამ ამაყი და მომხიბლავი!

ორი ათასი წლის წინად ადამიანებსაც ისე ხიბლავდა ეს დაუსრულებლად გაშლილი სივრცე, ეს ხელთუქმნელი, უსაზღვრო სილამაზე, როგორც ახლა. მაშინაც ალბად ანაზდეულად ილვიძებდა ქალ-ვაჟის გულში უსაზღვრო, ნაზი გრძნობა, ხან სიტკბოებით და ხან ტანჯვით სავსე; მაშინაც უსიტყვოდ ელაპარაკებოდნენ თვალები თვალებს და პირველყოფილი გრძნეული ალღო უტყუვრად გამოსცნობდა ადამიანის გულში ჩამარხულ მისთვისაც გამოურკვეველ საიდუმლოს.

რა უცნაურია ეს ფიქრი. „ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“.

ოცმა საუკუნემ ისე განვლო, როგორც ოცმა წუთმა და აი ისევ ილვიძებს ბუნება, სულგანაბული ყურს უგდებს თავის გულის სიღრმეში დაბადებულ უცხო სიმღერას—და ჩვენც, ადამიანებს, ისე როგორც ჩვენს შორეულ წინაპრებს, ისევ მოგვესმის გაზაფხულის ფრთების ფართფატი.

— მარიკა, გინდა, ზღაპარს გეტყვი!

— მითხარი.

— ჩემი ზღაპარი ძალიან მოკლე იქნება.

გუშინ—ორი ათასი წლის წინად ამ ადგილას, სადაც ახლა მე და შენ ვზივართ, ახალგაზდა ქალი იჯდა.

— თუ ორი ათასი წლის წინად იყო, გუშინ როგორ იქნებოდა?

— მოიცა ნუ მაწყვეტინებ... მაშინ აქ არც ციხე იყო, არც ტაძარი. ხომ იცი, ბაგრატის ტაძარი მეათე საუკუნეშია აშენებული, ეს ამბავი კი ოცი საუკუნის წინად მოხდა. აქაურობა ბუჩქებით სავსე იყო, ბუჩქების ძირში კი გადაშლილიყო აუარებელი ია. ხომ იც[...] აკაკის ლექსი: „გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“ —სწორედ ასე. ქალს იები დაეკრიფა, ნელ-ნელა ჰკონიდა, თა[...] ჰყნოსავდა და თან თავისთვის ნელი ხმით მღეროდა. უცბად მან თა[...] ვი მაღლა აიღო. მისკენ ვიღაც კაცი მოდიოდა. ის ჯერ ვერ ამჩნევ[...] და ქალს. როდესაც დაინახა, უეცრად მოარიდა თვალი მის ფარ[...] თოდ გაღებულ თვალებს და სახელოს სწორება დაუწყო. ქალის გუ[...] ლი უსაზღვრო სიხარულით შეინძრა, მის სახეს ერთბაშად გადაურ[...] ბინა რაღაც უცნაურმა ძალამ და მთლად შესცვალა. ის კარგად მიხვდა, თუ რისთვის გაიხედა განზე ვაჟმა, რატომ დაუწყო თავი[...] სახელოს სწორება. ძლევამოსილი ღიმილით საჩქაროდ აჰკრიფა თა[...] ვისი იები და ვიწრო ბილიკით დაბლა დაეშვა იქით, სადაც ახლ[...] ფერმაა. ვაჟი დიდხანს იდგა გაუნძრევლად და მიმავალს უყურებდა[...] მერე დაიხარა, ქალის მიერ დაბნეული, მიტოვებული იები აჰკრიფა[...] ნაზად დაჰყნოსა და თავისთვის, ჩუმად წაილაპარაკა: „მალე სულ[...] მალე, გაზაფხული მოვა“.

ეს მოხდა გუშინ—ორი ათასი წლის წინად.

ჩემმა უმცროსმა დამ ეშმაკურად გაიღიმა.

— კარგად ვიცი, ვინც არის ის შენი ვაჟი.

— ვინ? გაკვირვებით ვკითხე მე.

— წელან რომ კაცი შეგვხვდა, ის.

— რატომ მაინც და მაინც ის?

— იმიტომ რომ, ჩვენ რომ დაგვინახა, იმანაც სახელოზე დაიხედა[...]

— მარტო ამიტომ?—მხიარულად გამეცინა მე.

* *

გარინდებული დიდხანს ვისხედით ერთ ადგილას და გადავყუ[...] რებდით რიონს, გორაკებს, შორეულ მთებს. ბუნება თითქოს თავი[...] სი სილამაზის საიდუმლოს მიხსნიდა, თავის ურიცხვ ფერადებს მი[...] ფენდა თვალწინ და ათას-კილოდ შეზავებულ, იდუმალ ხმებს მაწვდენ[...] და გულის სიღრმეში.

უცბად მომაგონდა ალექსი ტოლსტოის ერთი ლექსი:

„Тщетно, художникъ, ты мнишь, что твореній своихъ т[...] создатель! Вѣчно носились они надъ землею, незримыя оку...

Много въ пространствѣ невидимыхъ формъ и неслыши[...] мыхъ звуковъ.

Много чудесныхъ въ немъ есть сочетаній и слова и свѣта...

ჩვენ ადამიანებს ყველას, განურჩევლად ნიჭისა, თავისებურ[...] გასაღები გვიჭირავს ხელში ბუნების ურიცხვი საიდუმლოს ასახსნე[...] ლად. ყველას თავისებურად გვესმის ბუნების ენა, მის გარშემო დ[...] მის გულის სიღრმეში დაბადებული უცნაური ხმები. მაგრამ სამყა[...] როს ამოცანას, მის უთვალავ და უსაზღვრო სიმდიდრეს მხოლოდ ი[...] გაიხდის სილამაზის ხელმეორედ შექმნის დაულეველ წყაროდ, ვი[...] სულშიც ჩვენი ბუნების საიდუმლო ძალა და ნიჭი სცხოვრობს.

ამ ნიჭზე იყო აკაკი რომ აღფრთოვანებით ამბობდა: „მიმოფ[...] რენ, მეც თან დაგყავარ, წამის წამს, კიდის კიდესო; ველარ მერე[...] სიკვდილი მე შენსა გადამკიდესო“. და მერე ნეტარებით და უსაზ[...] ღვრო მოკრძალებით მიმართავდა ამ უდიდეს ძალას: „დიდება შენს მოვლენას, ციურო, ტკბილო ძალაო, დაადნა გული შენს სიმებს დ[...] სულიც დაიცალაო“.

ორი ათასი წლის შემდეგაც ეს სიტყვები ისე მოხიბლავს ადა[...] მიანის სმენას და გულს, როგორც მე მომხიბლა გუშინ, დღეს, რო[...] გორც მომხიბლავს ყოველთვის.

* *

შინ რომ დავბრუნდი, სუფრაზე იების თაიგული დამხვდა დ[...] იქვე პატარა ბარათი. ღრმად შევისუნთქე ჩემი საყვარელი ყვავილე[...] ბის მათრობელი სუნოვანება, მასშია ჩამალული ასხმული გაზაფხუ[...] ლის მთელი ძალა და სიტკბოება, ახლად გაღვიძებული ბუნების მთე[...] ლი მიმზიდველობა.

— მარინე, ვინ მოიტანა ეს იები და ეს წერილი?—ვკითხ[...] ჩვენს მოსამსახურე ქალს, რადგან შინ სხვა არავინ იყო.

— ვიღაც პატარა ბიჭმა.—ღიმილით მიპასუხა მარინემ.—ვკით[...] ხე, ვინ გამოგატანა—მეთქი, მაგრამ ისე აბნეულად ლაპარაკობდ[...] რომ ვერაფერი გავიგე. იქ, შესახვევთან იცდისო, წაიბუტბუტა დ[...] გაიქცა.

ნელა გავხსენი პატარა სადარბაზო ბარათი და შემდეგი წავ[...] კითხე: „მშვიდობით. თუ როდისმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთ[...] ცხოვრებაში, ერთად მოვიგონოთ ის მზიანი დღე, როცა თქვენ[...] გაბრწყინვებულ თვალებში ჩავიხედე და ჩემი თვალებით თქვენს სა[...] ხეს მივუალერსე.

ადამიანი იშვიათად იგრძნობს ასეთ ღრმა და უანგარო ბედ[...] ნიერებას. მშვიდობით“.

ამის მეტი არაფერი ეწერა, მაგრამ მე მაინც მივხვდი, ვისი გ[...] მოგზავნილი იყო ეს თაიგული და ეს ბარათი. სისხლი მომაწვა სა[...] ხეზე და ძარღვები ამითრთოლდა. იებისკენ დავიხარე და დიდხან[...] ვყნოსავდი ნეტარებით.

— ვინ მოგიტანა ეს იები?—მკითხეს დედამ და მარიკამ ერ[...] თად, როდესაც ჩემს ოთახში შემოვიდნენ.

— გაზაფხულმა.—ვუპასუხე მე და გავიცინე.

მუჩიუტო ხუნდაძის ქალი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.